



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000010925452419

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 43

06 / ნოემბერი / 2019 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, სოფ კასრისწყალში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობისა და მასზე დამაგრებული 1501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის საპრივატიზებო ნუსხისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული -სოფ კასრისწყალში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობა მასზე დამაგრებული 1501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართით (ს/კ 50.50.27.31.020)
2. დამტკიცდეს-სოფ კასრისწყალში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობისა და მასზე დამაგრებული 1501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართით
 - ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური-10577(ათიათას ხუთას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით.
 - „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით - 3173 (სამიათას ას სამოცდაცამეტი) ლარის ოდენობით.
 - აუქციონის ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -1058 ლარის ოდენობით.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერა/
შტამბდასმულია
ელემენტრულად



თამარ ყვინიშვილი